


საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

2 ივნისი, საშაბათი, 1987 წ. № 107 (9518) შპსი 3 კპბ.

გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილიდან



# ჭიდაობა — ჩვენი, ქართული

## კვირას თბილისის სპორტის სასახლეში გამოვლინდა რესპუბლიკის ქალაქების უზენაესი და სოფლებს შორის გაპარჯებული გუნდი.

ჭიდაობა საქართველოში ყველა კუთხეში უფვართ: მთაშიც და ბარშიც, სოფელად და ქალაქად. მაგრამ, რა დასამალია და, შეჯიბრებას ხშირად კარგი ორგანიზატორის ხელი აკლია. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტსახელმძღვანელომ და „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ერთი კარგი და სასარგებლო საქმე ითავა, რასაც სისარულით დაუჭირეს მხარი ჭიდაობის მოყვარულებმა. ეს განლაგებულ ქიდაობაში სოფლების და ქალაქების უზენაესი რესპუბლიკური პირველობა, რომლის ფინალური შეხვედრები თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. კარგი მოქიდავე სოფელშიც ბევრია და ქალაქშიც, მაგრამ ისინი სარბიელზე ხშირად როდი ხვდებიან ერთმანეთს. და აი, ამ ტურნირმა ფალავნები სოფელშიც „გამოაცოცხლა“ და ქალაქშიც. ფალავნები ცდილობენ, რომ ზღვა ხალხში თავი არ

შეიტყვებონ და შინ გამარჯვებული დაბრუნდნენ. ობიექტური მსახური ამ დროს ხალხია, რომელმაც ჭიდაობის ფასიც ცარგად იცის და ჭეშმარიტი ფალავნის ყადრიც. ყველა სიხალემ, თუ იგი მისაღებია, პირველ რიგში დროის გამოცდას უნდა გაუძლოს. გვერთა, რომ ქართული ჭიდაობის ასეთ ზეიმს გრძელი დღე უწერია. ეს კი არაა და, მოჭიდავეებმა შეიძლება სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებსაც აუშალონ სადღერდელი. რომ შეიძლება სოფლები და ქალაქის უზენაესი ერთმანეთს შეეჯიბრონ ფრენურთში, სიმძიმეების აწევაში, კრივში... სოფელი სასპარჯოდ ქალაქს იწვევს, ქალაქი — სოფელს. ორივე ერთად კი სპორტის პროპაგანდის საქმეს მოემსახურება. ვინ იცის, იქნებ მომავალი ჩემპიონები სწორედ ამ ორთაბრძოლებში გამოჩნდნენ?

იხ. 30-4 გვ.

# ნონა გაფრინდაშვილი — ზუგდიდის საპატიო მოქალაქე

ქალაქში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ქართველთაგან პირველმა ნონა გაფრინდაშვილმა მოიპოვა. ახლა უკვე იმ დღისასსოფარ თარიღს 25 წელიწადი გადასრებას. დიან, მეოთხედი საუკუნეა, რაც საქართველო ქალაქის დედოფალთა რეზიდენციად იქცა და იმ დღიდან ჩემპიონის გვირგვინი მტკიცედ უპყრიათ ჩვენს ქალებს.

უდიდესია ნონა გაფრინდაშვილის წვლილი ქართველ ქალთა საქალაქო სკოლის განვითარებაში და ამ სკოლის მთელ მსოფლიოში აღიარების საქმეში. ყველაფერი კი ზუგდიდიდან დაიწყო. იმ ქალაქიდან, სადაც შემდგომში ზუგდიდის მსოფლიო ჩემპიონმა პირველად დაიწყო ქალაქის სელოვნების დაუფლება. და აი, გასულ კვირას მსოფლიოს ექსპრემიონი, საერთაშორისო დილოსტატი ნონა გაფრინდაშვილი და ქართული საქალაქო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, საერთაშორისო დილოსტატი ნანა ალექსანდრია სტუმრად მიიწვიეს ზუგდიდში. ამ დღეს ნონა გაფრინდაშვილი მშობლიურმა ხალხმა ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ იარჩია. საზეიმო ცერემონილის შემდეგ ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა ერთდროული თამაშის შესანიშნავი ჩაატარეს.

საქინფორმის ფოტოგრაფიკა (სპეციალურად „ლელოსთვის“).



# ქეთევან არახაიას დიდი ნარაბეზა

დამთავრდა საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ტურის წინ მოეწყო შეხვედრები გადამღებელი პარტიების დასამთავრებლად. ჰენრიეტა ლაგვილავას, რომელიც შეეხებოთ ეთამაშებოდა ელენა ახმელოვსკაიას (VII ტური), ხარისხი და ორი პაიკი ჰქონდა ზედმეტი. მან ზუსტად ითამაშა და მოსაგები პოზიცია მიიღო. ელენამ ლაგვილი გაცვალა ეტლსა და კუში, მაგრამ პოზიცია ვერ გაუმჯობესა და დანებდა. ამ გამარჯვებამ ლაგვილი — 81-4 გვ.

# სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში თერჯოლელმა „გადაიპატიმრა“

იმერეთში ტრადიციულად აქვთ: მეგობლის სტუმარს მასპინძლიანად აუცილებლად გადაიპატივებენ. სოფელში თავისთან. ქუთაისის „შენებელს“ თბილისის „ლოკომოტივთან“ კალენდარული შესხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. და, აი, იმერული სტუმარ-მასპინძლობის წესის თანახმად, ორივე გუნდი მეგობრულად რაიონმა თერჯოლამ „გადაიპატივა“. ეს მატჩი კვირას გამართა რაიონის ცენტრალურ სტადიონზე და მოსახლეობის დიდი ინტერესიც გამოიწვია.

თერჯოლმა 81 მაისი „შენებელი“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 19:0 (8:0). „შენებელი“: ხამაშურიძე; ძოწენიძე (ხარშილაძე, 42), ლიპარტიანი, თ. გიორგობიანი (ცოროლიანი, 58), კ. გაბრიჩიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ოზოლძე, ტურმეშაძე, გაბიძაშვილი, წიფვიძაძე, მაცუცია, შვანგიაძე (გრიგალავა, 70), თხელიძე, ნემსიწვერიძე.

„ლოკომოტივი“: ა. ზვედელიძე; მეტრეველი, მარჯანიშვილი, შერაზიშვილი, ნარიშანიძე, ჩიქვინიძე (ე. გაბრიჩიძე, 42), კვიციანი; ბაკურიძე, კაკაბაძე, ვ. გიორგობიანი (გიორგაძე, 42), კაშია, ხუაღე, ბებიაშვილი, გუგუნიანი, მგელაძე (ბახილაშვილი, 80). მხარე პეტროს ახლანიანი (ერედანი).

გოლები: 1 არევი (2, ძაგნიძე), 2 საკარიძე (51, ხამაშურიძე; 78, ძაგნიძე), 2 დამიწება (58, ლიპარტიანი; 62, ნაცუცია), 1 რეალიზაცია (68, ძაგნიძე).

იხ. 30-3 გვ.

# გამარჯვებული მისი ტრიუმფისათვის

მის ტურნირი ევროპის ძიუდოისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. იუნორთა რა უმეტეს 20 წლისა) საერთაშორისო შეჯიბრებაში ტრადიციულად კონტინენტის ყველა უძლიესი მოჭიდავე ასპარეზობს. ასევე აშეკრდაც ლენინგრადის ტაშე თავე მოიყარეს ბულგარეთის ესპანეთის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის, საფრანგეთის, ბოსნიის, ლიხტენშტაინისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. ბოლო ყველა წონაში უაღრესად მძაფრი გამოდგა, მაგრამ საბჭოთა ძიუდოისტების უპირატეობა მინც აშკარა იყო. მათ რვა პირველი ადგილი დაისაკუთრეს. აქვეაზე პრესტიჟულ ასოლუტურ კატეგორიაში გამარჯვება ბოლისელმა ვალერი პარუნაშვილმა მოიპოვა. პირველი ადგილი დაიკავა მეორე თბილისელმა — ურბნ მოდებაძემ. მან ყველას უბოძა 65 კგ წონაში. დანარჩენი წონით კატეგორიებში პირველობა მოიპოვეს: ლენინგრადელმა ოლეგ შკირენკომ (60 კგ), ლიხტენშტაინელმა შარიბ ვარაევმა (71 კგ), კრასნოიარსკელმა ოლეგ მალოცემა (78 კგ) და ვლადიმერ ლიშინმა (86 კგ), მოსკოველმა ვლადიმერ სვირინმა (95 კგ) და რუმინელმა იანის დარზნეიუსმა (მძიმე).


პიუსტონი (აშუ). აქ გამართა საერთაშორისო შეჯიბრება წყალსათხილამურო სპორტში, რომელშიც თავი გამოიჩინა ადგილობრივმა სპორტსმენმა დინა ბრაშმა. ტრამპლინიდან ხტომაში მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 46 მეტრი. ეს მსოფლიო რეკორდი.

ბურინი (იბალია). საბჭოთა კავშირისა და იტალიის მძლეოსანთა ორლიანი სამატჩო შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 117:93. ლენინგრადელმა ალექსანდრე ევგენიევმა შეჯიბრების ბოლო დღეს ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 20,61. ეს შედეგი წლეულს ევროპაში საუკეთესოა. ევგენიევმა 0,10 წამი მო-

უგო 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენს ამერიკელ კელინ სმიტს, რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა. მეორე ამერიკელი 32 წლის ედ მოხესი პირველი იყო თარჯბენში 400 მეტრზე — 48,90.

სოფია. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გახეთ „ნარონა მლადეის“ პრიზზე სამხტომელთა შეჯიბრება ბულგარულმა ხრისტო მარკოვმა მოიგო. მისი შედეგი 17 მეტრი და 81 სანტიმეტრი ევროპის ახალი რეკორდი.

მოსკოვი. კვირას კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამა-



# ხელახალი-ჩიხიქალი

შემა. შეჯიბრება. რომელშიც ტალინელმა ერიკა სალმეიამ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 200 მეტრზე გიტში (11,373) და 1000 მეტრის დისტანციაზე (1.05,232). სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრება მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა მოიგო. მეორე ადგილზე აშხაბადელი ვლადიმერ სულთანოვი გავიდა მესამეზე — ფრუნზელი სერგეი ივანტოვი.

დამთავრდა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, რომელიც საქართველოს ურჩინალიხტთა კავშირის პრიზზე ჩატარდა. სპეციალისტთა და გულშემატკივართა დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისელთა კარის დარაჯმა გელა ტუკუაძემ, რომელმაც საუკეთესო შედეგით დაიწყო სეზონი. სეზონის პირველი სპეციალური პრიზი დაიმსახურა (იხ. მე-3 გვ.).

# ინფორმაცია

როში, 1 ივნისი (საქდესი). იტალიის დედაქალაქში გამართულ აპუნეიერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) სხდომის გადაწყვეტილებით ბრაზილიის ქალაქი სან-პაულუ უმსპინძლებს მსოფლიო სტუდენტთა 1989 წლის თამაშებს.





